პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 240 (5270)

1974 წ. 4 დეკემბერი, ოთხშაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# შეტევა კოსმოსურ სივრცეში

## საქდესის ცნობა

# მიფრინავს „სოიუზ-16"

„სოიუზ" (სსრ კავშირი) და „აპოლონ" (ამერიკის შეერთებული შტატები) კოსმოსური ხომალდების ექსპერიმენტული ერთობლივი ფრენისთვის მზადების საბჭოთა პროგრამის შესაბამისად 1974 წლის 2 დეკემბერს 12 საათსა და 40 წუთზე მოსკოვის დროით საბჭოთა კავშირში გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-16".

კოსმოსურ ხომალდს მართავს ეკიპაჟი, რომელშიც შედიან ხომალდის მეთაური საბჭოთა კავშირის გმირი სსრ კავშირის კოსმონავტი-მფრინავი პოლკოვნიკი ანატოლი ვასილის ძე ფილიპჩენკო და ბორტინჟინერი საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი-მფრინავი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რუკავიშნიკოვი.

ორბიტული ფრენის პროგრამა ითვალისწინებს თანამედროვე ფრენის მოთხოვნების შესაბამისად მოდერნიზებული „სოიუზ" ხომალდის საბორტო სისტემების გამოცდას, მეცნიერულ და მეცნიერულ-ტექნიკურ კვლევას, აგრეთვე, დედამიწის ზედაპირის ცალკეული მონაკვეთების დაკვირვებასა და ფოტოგრაფირებას სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტისთვის საჭირო მონაცემების მიღების მიზნით. „სოიუზ-16" ხომალდი იმ ხომალდის ანალოგიურია, რომელმაც 1975 წელს მონაწილეობა უნდა მიიღოს საბჭოთა კავშირ—ამერიკის ექსპერიმენტში.

„სოიუზ-16" ხომალდის ეკიპაჟთან მყარი რადიო და სატელევიზიო კავშირია.

„სოიუზ-16" კოსმოსური ხომალდის ფრენის მართვასა და მიღებული ინფორმაციის დამუშავებას ახორციელებს მართვის საბჭოთა ცენტრი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და მსოფლიო ოკეანის აკვატორიის სხვადასხვა რაიონში მყოფ სამეცნიერო-საკვლევ გემებზე განლაგებული თვალთვალის სადგურების საშუალებით.

კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ. ხომალდის ნაკვეთურებში დაცულია დედამიწის მსგავსი პირობები.

კოსმონავტები ა. ფილიპჩენკო და ნ. რუკავიშნიკოვი შეუდგნენ ფრენის დასახული პროგრამის შესრულებას.

# მიზანი — სისწრაფის რეკორდი

...დამშრალი ტბის თანაბარ, სწორ ფსკერზე ქარივით მიქრის ავტომანქანა, რომელიც ერთი შეხედვით რაკეტას მოგვაგონებს. მისი სისწრაფე საათში 1200 კილომეტრია.

ამ მანქანის შექმნისთვის მუშაობს სარბოლო მანქანების ცნობილი სპეციალისტი, ხარკოვის ავტოსაგზაო ინსტიტუტის საკონსტრუქტორო ბიუროს ხელმძღვანელი ვ. ნიკიტინი.

ხარკოველებს სახელი და დიდება მოუტანა ორმა მანქანამ — „ხადი-7"-მა გაზტურბინიანი ძრავით (ამ მანქანით დამყარებულია 4 მსოფლიო რეკორდი, კერძოდ, მიღწეულია თითქმის 400 კმ სიჩქარე ერთ კილომეტრზე სვლით) და „ხარკოვ-6"-მა, რომელიც საათში საშუალოდ 270 კმ სიჩქარეს ავითარებს ჩვეულებრივი მოასფალტებული გზატკეცილის 10-კილომეტრიან მონაკვეთზე.

ინსტიტუტის სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიუროს ასზე მეტი წევრი მუშაობს „ბოლიდის" კლასის ახალ 11,5-მეტრიან მანქანაზე, რომელსაც ტურბორეაქტიული საავიაციო ძრავა აქვს. სარეკორდო ავტომანქანა „ხადი-9", წინასწარი გამოანგარიშებით, წამში 330 მ ან საათში თითქმის 1200 კმ სიჩქარეს განავითარებს, რაც დღევანდელ აბსოლუტურ მსოფლიო რეკორდზე მეტია.

* * *

სურათებზე: სარეკორდო სარბოლო მანქანების შემქმნელი, მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ნიკიტინი; აქ იბადება სარეკორდო სიჩქარეები. ნახაზების გვერდით თქვენ ხედავთ მომავალი „ბოლიდის" მოდელს; IV კურსის სტუდენტი ვ. დოლუენკოვი და მეხუთეკურსელი ი. გორბანოვი დგამენ „ბოლიდის" შპანპოუტებს.

მ. ტურის ფოტოები. (საქდესი).

# საშემოდგომო სტარტები



საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლის აღსაზრდელებმა წლევანდელი სეზონი მასობრივი საშემოდგომო კროსით დაამთავრეს. ბოლო შეჯიბრების მიზანი იყო მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება. ასპარეზობის მონაწილენი ოთხ ასაკობრივ ჯგუფად დაიყვნენ.

1959 წელს დაბადებულთა შორის 500 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა თ. სელინამ — 1.22,1. ერთი წლით უმცროსი ასაკის ბავშვთა შეჯიბრება ამავე დისტანციაზე მოიგო მ. არაქელოვამ — 1.25,2. 13 წლის ბავშვთა შორის 300 მეტრზე რბენის ფინიშთან პირველი მივიდა ი. მაჩაიძე (45,7), ხოლო 12 წლის მოსწავლეთა ასპარეზობაში ყველაზე კარგი შედეგი მოიპოვა მ. მკერვალიშვილმა — 47,6.

შეჯიბრების თითქმის ყველა მონაწილემ მშდ კომპლექსის მოთხოვნები ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩააბარა.

გ. ბარკანსი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი.

სურათზე: უფროსი ასაკის გოგონები დისტანციაზე.

გ. სერგიენკოს ფოტო.

# დიდოსტატი საათს აჩერებს

ლენინგრადი, 3 დეკემბერი. ჭადრაკში სსრ კავშირის ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) III ტურის ყველა — რვა შეხვედრა რეგლამენტით განსაზღვრულ ძირითად დროში დამთავრდა, რაც ძალიან იშვიათი შემთხვევაა. ჩემპიონატის პირველ სენსაციათა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ დიდოსტატ პოლუგაევსკის დამარცხება 22 წლის ლვოველ საერთაშორისო ოსტატ რომანიშინთან. ამ პარტიაში შავები, რომლებითაც პოლუგაევსკი თამაშობდა, ცდილობდნენ ინიციატივის ხელში ჩაგდებას და თავიანთი პაიკების სუსტ განლაგებას ანგარიშს არ უწევდნენ. ოსტატმა თანდათან შეძლო პოზიციის გამარტივება და პაიკი მოიგო. დანარჩენი უკვე ტექნიკის საქმე იყო. 41-ე სვლაზე პოლუგაევსკი დანებდა. ეს პირველი შემთხვევაა ამ ჩემპიონატში, როცა ოსტატმა დიდოსტატი დაამარცხა.

მინსკელმა ოსტატმა კუპრეიჩიკმა შავებით უკვე მე-4 სვლაზე მიიღო საკმაოდ სარისკო გადაწყვეტილება და „მოწამლული" თეთრი პაიკი აიყვანა. ამან დიდოსტატ ვაჰანიანს საშუალება მისცა სწრაფად აემოქმედებინა თავისი ფიგურები და ელვისებური იერიში მიეტანა ცენტრში შეფერხებულ შავ მეფეზე. 22-ე სვლაზე ვაჰანიანმა აქტივში ქულა ჩაიწერა.

ინგლისურ დასაწყისში ოსტატმა გულკომ წარუმატებლად განალაგა ფიგურები და მალე შევიწროებული აღმოჩნდა. ოსტატმა დვორეცკიმ ჯერ ხარისხი მოიგო, შემდეგ კი — პარტიაც.

III ტურის დანარჩენი ხუთი შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ვასიუკოვ — კუზმინის პარტიაში უპირატესობა თეთრების მხარეს იყო, მაგრამ ვასიუკოვმა, რომელსაც სვლების მოსაფიქრებლად დრო აკლდა, რისკის გაწევა ვერ გაბედა. გრიგორიანმა შავებით შეძლო ციხესიმაგრის აგება და ტალი ყაიმს შეურიგდა, სავონმა და ბელიავსკიმ ქულა გაიყვეს მე-19 სვლაზე, ტაიმანოვმა და ალბურტმა — 23-ე, ბალაშოვმა და ცეშკოვსკიმ — 24-ე სვლაზე.

გადადებული პარტიების დამთავრებამდე ლიდერობენ დიდოსტატი კუზმინი (ვოროშილოვგრადი) და მოსკოველი ოსტატი დვორეცკი — 2-2 ქულა.

IV ტური 4 დეკემბერს მოეწყობა.

# ორი საფეხურით დაბლა,

## ანუ როგორ ჩატარდა ბოლო შეხვედრები დონის როსტოვში

ქვეჯგუფებში ასპარეზობის ბოლო დღეს რსფსრ-ს კოლექტივი ბელორუსიის წარმომადგენლებს შეხვდა, ხოლო საქართველოს გუნდი — უკრაინის ნაკრებს. რუსეთის ფედერაციის „კლასიკოსებმა" დიდი ალმავლობით ჩაატარეს ყველა შეხვედრა და იოლ გამარჯვებას მიაღწიეს.

საქართველოს და უკრაინის მოჭიდავეთა მატჩის წინ, როცა ერთმანეთს ადარებდნენ მეტოქე გუნდების წევრთა ძალასა და შესაძლებლობებს, სპეციალისტები უპირატესობას ჩვენს სპორტსმენებს ანიჭებდნენ. ამასვე ვარაუდობდნენ ქართველ ფალავანთა მწვრთნელები და მათი მოწაფეებიც, მაგრამ იოლი გამარჯვების იმედით ხალიჩაზე გამოსული ჩვენი ათლეტები სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდნენ. საქართველოს გუნდის ზოგი გამოცდილი წევრიც კი შეაკრთო უკრაინელთა შემართებამ.

იუნიორთა ოთხი წყვილის შეხვედრის შემდეგ ანგარიში გახდა 15:1 უკრაინის გუნდის სასარგებლოდ. მხოლოდ ამის შემდეგ გამოფხიზლდნენ ჩვენი ჭაბუკები, მდგომარეობა გამოასწორეს და ბოლო შეხვედრის წინ უკრაინელებს მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩებოდნენ. მძიმე წონაში ა. მაისურაძემ წმინდად მოუგო ი. ტკაჩენკოს და საბოლოოდ ჩვენმა მოჭიდავეებმა იმარჯვეს — 19:17.

საქართველოს უფროსთა გუნდს უფრო გაუჭირდა. თ. ნოზაძემ, შ. გიგოლაშვილმა და ნ. მაჭარაშვილმა წააგეს შესაბამისად ვ. გორბუნოვთან, ა. ბარანიკთან და ო. გელაშვილთან.

ჩვენს ნაკრებს პირველი გამარჯვების ქულა მოუტანა ჯ. მეგრელიშვილმა, რომელმაც ერთ წუთში წმინდად მოუგო ი. დრაუგიალისს. მომდევნო წონაში კვლავ მარცხი ვიწვნიეთ: გ. გოგნაძემ ლ. ჩაიკასთან ქულებით წააგო.

დიდი შეუპოვრობით გამოირჩეოდა ჩვენი ი. ბერიშვილისა და ა. ჭანკოტაძის ბრძოლა. საქართველოს გუნდის წევრმა შეხვედრა ქულებით მოიგო (5:3). ასევე ქულებით დაამარცხა თ. კიკნაძემ ვ. კარმანიხი. და მაინც მდგომარეობა მძიმე იყო. დარჩენილ სამ წონით კატეგორიაში ჩვენს ფალავნებს აუცილებლად უნდა მოეგოთ. ო. ბლიაძე ბევრს ეცადა გაეტეხა ა. ვინოკუროვის წინააღმდეგობა, მაგრამ ამაოდ. შეხვედრა ფრედ დამთავრდა.

მატჩის ბედს წყვეტდა ა. მელაძისა და შ. მორჩილაძის შეხვედრები ბ. ბოგატენკოსთან და ვ. რაკაევთან. მელაძის შეტევებმა პირველ წუთებზე სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო. შემდეგ იგი მოეშვა. ამით კარგად ისარგებლა უკრაინელმა და გაიმარჯვა. მართალია, მორჩილაძემ ქულებით მოუგო რაკაევს, მაგრამ საბოლოო გამარჯვება ხელიდან იქნა გაშვებული.

ფინალური შეხვედრების დღეს, დილით, სარბიელზე გამოვიდნენ უკრაინა — მოსკოვისა და რსფსრ — საქართველოს გუნდები. პირველ შეხვედრაში იმარჯვეს უკრაინელებმა. რუსეთის ფედერაციის მოჭიდავეებთან მატჩი ჩვენი ფალავნებისთვის უიღბლოდ დაიწყო, წააგეს საქართველოს იუნიორებმა გ. შევიაკოვმა, მ. ხუხუამ, ნ. ნაკაშიძემ, უფროსთა გუნდის წევრებმა თ. ნოზაძემ (ვ. ხატუნოვთან), შ. გიგოლაშვილმა (ა. ჩუმაკოვთან), ნ. მაჭარაშვილმა (ვ. კონსტანტინოვთან), ჯ. მეგრელიშვილმა (ს. ნალბანდიანთან).

(დასასრული მე-8 გვ.).







# ორივე ფინალში — ერთი და იგივე გუნდები

ეწერის ოლიმპიურ საწვრთნელ ბაზაზე ჩატარდა „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური პირველობა კალათბურთში უმაღლესი სასწავლებლების გუნდებს შორის. გამარჯვებას ერთმანეთს ეცილებოდნენ თბილისის უნივერსიტეტის, სამედიცინო და ფიზიკური კულტურის ინსტიტუტების, გორისა და ქუთაისის პედინსტიტუტების, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სხვა გუნდები. უნდა ითქვას, რომ უმაღლეს სასწავლებლებს შორის ასეთი დიდი მასშტაბის ტურნირი კარგა ხანია არ ჩატარებულა.

ქალთა შეჯიბრების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ უნივერსიტეტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივები. თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. პირველი ტაიმის მიწურულს უნივერსიტეტის გუნდის კაპიტანი, საქართველოს ნაკრების წევრი მ. კვინიკაძე დაშავდა. ამან უნივერსიტეტელთა ძალები შეასუსტა. შეხვედრა მოიგეს ფიზკულტურის ინსტიტუტის (მწვრთნელი კ. ბეთანელი) წარმომადგენლებმა — 78:56 (39:27).

გამარჯვებულ კოლექტივში ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო დიასამიძე (27 ქულა), უნივერსიტეტელთა შორის თავი გამოიჩინა რეხვიაშვილმა (19).

ვაჟთა გუნდების ფინალური მატჩი, სადაც ერთმანეთს ისევ უნივერსიტეტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლები შეხვდნენ, თავიდანვე მწვავედ დაიწყო. ტაიმი ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მოიგეს — 37:36.

ბრძოლა დაძაბული გამოდგა მეორე ნახევარშიც, მაგრამ საბოლოოდ უნივერსიტეტის გუნდმა მაინც იმარჯვა — 82:79.

ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელები იყვნენ უნივერსიტეტელი ქუთათელაძე (30 ქულა) და ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენელი მარკოშვილი (26).

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის გუნდი (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი დ. ქამუშაძე) ძირითადად პირველკურსელებით იყო დაკომპლექტებული.

გთავაზობთ მომდევნო ადგილებზე გასულთა სიას.

**ვაჟები:** 3. პედინსტიტუტი (თბილისი), 4. პედინსტიტუტი (სოხუმი), 5. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი), 6. სამედიცინო ინსტიტუტი (თბილისი), 7. პედინსტიტუტი (ცხინვალი), 8. პედინსტიტუტი (ქუთაისი), 9. პედინსტიტუტი (გორი).

**ქალები:** 3. პედინსტიტუტი (გორი), 4. უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი (თბილისი), 5. სამედიცინო ინსტიტუტი (თბილისი), 6. პედინსტიტუტი (ქუთაისი).

შეჯიბრება ჩატარდა ორგანიზებულად, მაღალ სპორტულ დონეზე (მთავარი მსაჯი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. მესხი).

**ლ. გენგაშვილი,**
**სპორტის ოსტატი.**

---

კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩების წინ, ტრადიციულად, ნორჩები ასპარეზობენ ხოლმე. ამგვარი საჩვენებელი შეხვედრები მინი-კალათბურთში სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. ამასთან, ნორჩები ეჩვევიან მაყურებლებს, იძენენ პასუხისმგებლობის გრძნობას, თამაშობენ თავგამოდებით და ცდილობენ უველაფერში დიდებს მიჰბაძონ.



ამ სურათზე აღბეჭდილია თბილისის „დინამოს" და კიევის „სტროიტელის" გუნდების შეხვედრის წინ გამართული ბრძოლის ერთი ეპიზოდი. თამაშობენ თბილისის „ბურევესტნიკისა" და კიროვის სახელობის რაიონის სპორტსკოლის გუნდები (1963-65 წლებში დაბადებული ბიჭები). ანგარიშით 10:7 გაიმარჯვეს „კიროველებმა".

ა. კოტორაშვილის ფოტო.

---

**სსრ კავშირის ჩემპიონატი**

## „სპარტაკმა" თავდასხმაც იცის

ლენინგრადი, 2 დეკემბერი. გაიმართა ჩემპიონატის მორიგი მატჩი ადგილობრივ „სპარტაკსა" და მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელთა შორის. ლიდერმა ამ მატჩში თავის თავს უფლება მისცა თავდასხმისთვის უფრო მეტი ყურადღება მიექცია, ვიდრე დაცვისთვის. ამით აიხსნება, რომ აუტსაიდერმა 78 ქულა აართვა გუნდს, რომელიც განთქმულია დაცვით.

ლენინგრადელებმა საკმაოდ იოლად მოიგეს ეს შეხვედრა (108:78) და დაამტკიცეს, რომ „სპარტაკი" ძლიერია არა მარტო კონტრშეტევებითა და პოზიციური ბრძოლით.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 3 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 9 | 8 | 1 | 812—667 | 8 |
| „დინამო" (მ.) | 8 | 7 | 1 | 703—574 | 7 |
| „დინამო" (თბ.) | 8 | 7 | 1 | 694—655 | 7 |
| ცსკა | 8 | 6 | 2 | 772—657 | 6 |
| „ჟალგირისი" | 8 | 5 | 3 | 659—653 | 5 |
| „კალევი" | 8 | 3 | 5 | 663—666 | 3 |
| „სტროიტელი" | 6 | 2 | 4 | 502—503 | 2 |
| „სტატიბა" | 8 | 2 | 6 | 611—694 | 2 |
| რტი | 9 | 1 | 8 | 720—834 | 1 |
| „ურალმაში" | 10 | 0 | 10 | 765—998 | 0 |

---

# ჭიდაობას რა უნდა...

## დინამოელთა გამარჯვება

ქართულ ჭიდაობაში პირველობისთვის სპორტსაზოგადოებათა ექვსი ნაკრები გუნდი იბრძოდა.

საუცხოოდ ჩაატარა შეხვედრები განთიადელმა ლ. ბიგანიშვილმა, რომელმაც 60 კგ-მდე წონით კატეგორიაში ოთხი გამარჯვება მოიპოვა. მან 2 წუთსა და 40 წამში დასცა დინამოელი ლ. ხუციშვილი, 4 წუთსა და 5 წამში — თანაგუნდელი ზ. ხუტაშვილი, „ლოკომოტივის" წარმომადგენელ გ. ძიძიკაშვილის დამარცხებას 3 წუთი და 15 წამი მოანდომა, ხოლო ნ. ბეგლარიშვილს 1 წუთსა და 30 წამში მოუგო.

კარგად გამოვიდა დინამოელი ნ. ყირიმელი (68 კგ-მდე). მან 40 წამში დაამარცხა განთიადელი ნ. ბოლოთაევი, 30 წამში — „ლოკომოტივის" წარმომადგენელი გ. ჯაგავა. ყირიმელთან მხოლოდ განთიადელმა გ. ქენქაძემ წააგო ქულებით.

კიდევ უფრო კარგ შედეგებს მიაღწია „განთიადის" მოჭიდავემ მ. ალბორიშვილმა. მან 6 წამში დასცა ბეჭებზე სპარტაკელი ზ. ფიცხელაური, 5 წამში — დინამოელი გ. ჯანაშვილი. „ლოკომოტივის" წარმომადგენელ ა. ხაჩიძის დასამარცხებლად ალბორიშვილს 3 წუთი და 47 წამი დასჭირდა.

დანარჩენ წონით კატეგორიებში თბილისის სპარტაკიადის — ჩემპიონთა წოდება მოიხვეჭეს: ჯ. ნანუაშვილმა, ი. ჩიფჩიურმა (ორივე — „დინამო"), გ. გაგუნაშვილმა („ბურევესტნიკი"), ზ. რჩეულიშვილმა და რ. ტერტერაშვილმა („განთიადი").

საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა „დინამომ", II — „განთიადმა", III — „ლოკომოტივმა".

**ნ. კოტრიკაძე.**

---

# ჩეხოსლოვაკიელ მეგობრებთან

ოსტრავის ქ. გოტვალდის სახელობის მეტალურგიული კომბინატის სპორტული კოლექტივის მიწვევით ჩეხოსლოვაკიაში ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად იყო გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფრენბურთელთა დელეგაცია.

დელეგაციას ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი შ. ხანთაძე. ჩვენ ვეწვიეთ მას და ვთხოვეთ ეამბნა ჩეხოსლოვაკიაში გატარებულ დღეებზე.

— 1973 წლის ნოემბერში გორში სტუმრად იყო ოსტრავის მეტალურგიული კომბინატის ფრენბურთელ ქალთა გუნდი, — თქვა რექტორმა, — რომელმაც ჩვენი ინსტიტუტის სპორტსმენებთან ამხანაგური შეხვედრები ჩაატარა.

ოქტომბერში გორელი ფრენბურთელები საპასუხო ვიზიტით ეწვივნენ ჩეხოსლოვაკიელ მეგობრებს. მათ მონაწილეობა მიიღეს ქალაქ სლავიჩინის ერთდღიან ტრადიციულ ტურნირში, რომელიც აქ ყოველ შემოდგომაზე ტარდება. შეჯიბრებაში 6 გუნდი გამოდიოდა. ერთ დღეში ხუთი თამაშის ჩატარება ჩვენთვის ძნელი იყო, მაგრამ სპორტსმენებმა მთელი ძალა მოიკრიბეს და III საპრიზო ადგილი დაიკავეს.

ერთ დღეს დავისვენეთ და დავბრუნდით ოსტრავაში ჩვენს მასპინძელთან — მეტალურგიული კომბინატის გუნდის წევრებთან.

მეტალურგებთან მეორე შეხვედრა მწვავე ბრძოლაში წავაგეთ. ორი შეხვედრა გვქონდა როუნოვის კლუბ „ტესლასთანაც" და ორივე მოვიგეთ.

თავისუფალ დროს მასპინძლებმა დაგვათვალიერებინეს გოტვალდოვის, ოსტრავისა და სლავიჩინის ღირსშესანიშნავი ადგილები.

**ი. თევდორაშვილი.**
(ჩვენი კორ.).

გორი.

* * *



**სურათზე:** გორის პედინსტიტუტისა და როუნოვის „ტესლას" ფრენბურთელთა გუნდები.

---

## სად იყო შარშანწინდელი ჩემპიონი?

ამას წინათ თბილისში ჩატარდა ტექნიკუმების VII საქალაქო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: 1. მწვრთნელთა სკოლა, 2. პოლიტექნიკური ტექნიკუმი, 3. მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი.

შეჯიბრებისადმი ინტერესი უფრო დიდი იქნებოდა, გუნდები სავაჭრო, პოლიგრაფიულ, რკინიგზისა და სხვა ტექნიკუმებს რომ გამოეყვანათ. ყველაზე გასაკვირი კი ის არის, რომ სავაჭრო ტექნიკუმის მოჭიდავეებმა შარშანწინდელ ტურნირში გამარჯვების შემდეგ წლეულს არ ისურვეს ასპარეზობა.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ი. კულუმბეგოვმა (მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი), ლ. ცისკარიშვილმა, ტ. ნამგალაურმა, ზ. ზაქალაშვილმა (ყველა — მწვრთნელთა სკოლა), ზ. ფიცხელაურმა, გ. მოსიაშვილმა (ორივე — პოლიტექნიკური ტექნიკუმი), ტ. შუკოვანმა (მწვრთნელთა სკოლა), ი. მახათაძემ (პოლიტექნიკური ტექნიკუმი).

**გ. ბარჯაძე,**
**სპორტის ოსტატი.**

---

## მასპინძელთა გუნდი უძლიერესია

კასპის საჭიდაო დარბაზში ჩატარდა რაიონის მოსწავლეთა საშემოდგომო პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდა მოსწავლეთა 18 ნაკრები გუნდი.

გამარჯვება და რაიონის ჩემპიონის წოდება კასპის 1-ლი საშუალო სკოლის კოლექტივმა მოიპოვა. II ადგილზე გავიდნენ მეტეხის, III — ლამისყანის საშუალო სკოლების გუნდები.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ბ. ბურდული, გ. კაციაშვილი, ო. იაძე, ს. ბარნაბიშვილი, მ. ბათილაშვილი, მ. გოგოლაძე, ლ. ნავროზაშვილი, თ. გაბოძე, ა. გეჯაძე, ბ. ჯავახიშვილი.

**ლ. ელისაბედაშვილი.**
(ჩვენი კორ.).

კასპი.

---

## წარმატება სტუმრად

თბილისის „ლოკომოტივის" რეგბისტებმა ამ დღეებში ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ადგილობრივ თანაკლუბელებთან გამართეს საერთაშორისო ამხანაგური მატჩი და გაიმარჯვეს ანგარიშით 9:7.

**ნ. კოტორაშვილი.**

# ორი საფეხურით დაბლა,

## ანუ როგორ ჩატარდა გოლო შეხვედრები დონის როსტოვში

დასასრული

მომდევნო წონებში ჩვენი ნაკრების საქმე შედარებით გამოსწორდა: გ. გოგნაძემ სძლია გ. ნეპომნიაშჩის, ი. ბერიშვილმა — ვ. ზემკოვს, თ. კიკნაძემ — გ. ჩებოკსაროვს. ო. ბლიაძე — ვ. ნეჟაევისა და მ. სალაძე — ი. მერკულოვის შეხვედრები ვადამდე დამთავრდა. მეტოქეებმა 3-3 გაფრთხილება მიიღეს და ორივეს წაგება ჩაეთვალა. შ. მორჩილაძის მოწინააღმდეგე ნ. სუხარევმაც 3 გაფრთხილება მიიღო და შეწყვიტა ბრძოლა. დამარცხდა ჩვენი უფროსთა გუნდიც.

თასის გათამაშების დასკვნით მატჩებში ერთმანეთს შეხვდნენ რსფსრ — უკრაინა (I და II ადგილებისთვის) და საქართველო — მოსკოვი (III-IV). რუსეთის ფედერაციის გუნდი ახლაც დიდი აღმავლობით იბრძოდა, მოიგო შეხვედრა და საპატიო ჯილდო მოიპოვა.

საქართველო — მოსკოვი. კვლავ წარუმატებლობა პირველ შეხვედრებში. დამარცხდნენ თ. ნოზაძე, შ. გიგოლაშვილი, ნ. მაჭარაშვილი, გ. გოგნაძე (შესაბამისად ა. აზიმოვთან, გ. ნეცვეტაევთან, ვ. ტრიფონოვთან და ს. კაკაკევთან). კარგად იჭიდავეს ჯ. მეტრეველიშვილმა და ი. ბერიშვილმა. პირველის მეტოქე იყო მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ფ. მუსტაფინი. ბრძოლა ქართველმა ფალავანმა მოიგო ქულათა საერთო ანგარიშით 8:3. ბერიშვილი შეხვდა გ. სპირიდონოვს. თბილისელმა 1 წუთსა და 40 წამში წმინდა გამარჯვება მოიპოვა. ბოლო გამარჯვება ჩვენს გუნდს მოუტანა თ. კიკნაძემ, რომელმაც ქულებით მოუგო ს. შვერიოვს. დანარჩენ სამ წყვილს: ო. ბლიაძე — ი. დემიანოვს, მ. სალაძე — ი. ბალბოშინსა და შ. მორჩილაძე — ს. არტიუხინს 3-3 გაფრთხილების შემდეგ წაგება ჩაეთვალათ. საქართველოს ძირითადმა გუნდმა 4 ქულის სხვაობით წააგო. ზემოთ დასახელებულ სამ ქართველ მოჭიდავეს (განსაკუთრებით სალაძესა და მორჩილაძეს) თავი მაინცდამაინც არ შეუწუხებია, რადგან მათი ქულები უკვე აღარ ესაჭიროებოდა ჩვენს გუნდს (იუნიორები დიდი უპირატესობით იგებდნენ შეხვედრას და საერთო ჯამში გამარჯვება საქართველოს ნაკრებს რჩებოდა). მაგრამ მარტო ქულები ხომ არ არის მთავარი, ხომ უნდა გვქონდეს თუნდაც ასპარეზობის სანახავად მოსული გულშემატკივრების, საკუთარი თავის, საკუთარი სპორტული ღირსებისა და მაღალი ტიტულების პატივისცემა?

შეჯიბრების დასასრულს რუსეთის ფედერაციის გუნდს გადაეცა გარდამავალი თასი. ორთაბრძოლებში გამორჩეულმა სპორტსმენებმა მიიღეს ქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ დაწესებული ჯილდოები. ერთ-ერთი ასეთი პრიზი — ყველაზე ტექნიკური მოჭიდავისთვის — ი. ბერიშვილს გადაეცა. მართლაც, ამ ნიჭიერმა ათლეტმა ყველა შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა, იბრძოდა დიდი შემართებით, მონდომებით, რითაც როსტოველ გულშემატკივართა და სპორტის ამ სახეობის სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა. იუნიორებისთვისაც რომ ყოფილიყო დაწესებული მსგავსი ჯილდოები, ერთ-ერთს — დიდი შეუპოვრობისა და ყველაზე მეტი წმინდა გამარჯვებისთვის — საქართველოს გუნდის წევრი, მძიმეწონოსანი ა. მაისურაძე მიიღებდა.

ჩვენ დღეს მხოლოდ საკავშირო თასის გათამაშების სტენოგრაფიული ანგარიში მოგაწოდეთ. რით იყო გამოწვეული საქართველოს ნაკრების შედარებითი წარუმატებლობა დონის როსტოვის ხალიჩაზე, რატომ უფრო შემართებით არ იბრძოდნენ ჩვენი ფალავნები, სხვა მოწინავე გუნდებთან შედარებით რატომ მოვიკოჭლებთ დაბალ წონით კატეგორიებში, ამის შესახებ ალბათ თავიანთს აზრს გამოთქვამენ ჩვენი კლასიკური ჭიდაობის სპეციალისტები, ნაკრები გუნდების წევრთა მწვრთნელ-აღმზრდელები.

ზ. ჯაფარიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
დონის როსტოვი.




თბილისი-74

# თეორიის ცოდნა აუცილებელია

V ტური. ე. გუფელდი (თბილისი) — ვ. ბაგიროვი (ბაქო) 0,5:0,5, რ. კინი (ინგლისი) — რ. ხოლმოვი (მოსკოვი) 0,5:0,5, ვ. ჩოკილტია (რუმინეთი) — ვ. ნიჩევსკი (იუგოსლავია) 1:0, გ. ლებრედო (კუბა) — გ. სიგურიონსონი (ისლანდია) 0,5:0,5, ბ. გურგენიძე — თ. გიორგაძე (ორივე — თბილისი) 0,5:0,5, ვ. შმიდტი (პოლონეთი) — ნ. გაფრინდაშვილი (თბილისი) 0,5:0,5, ა. შნაპიკი (პოლონეთი) — ე. უბილავა (თბილისი) 0:1, ხ. ბოხოსიან (ბულგარეთი) — ა. ტუზოვსკის (სოხუმი) პარტია გადაიდო.

5 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ნ. გაფრინდაშვილი — 3,5 ქულა, ვ. ჩოკილტია, რ. კინი, ე. გუფელდი, თ. გიორგაძე — 3 3, ვ. შმიდტი — 2,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

იყო დრო, მოჭადრაკე ქალთა პარტიები სპეციალურ ჟურნალ-გაზეთებშიც არ იბეჭდებოდა და არც აინტერესებდა ვინმეს. ახლა მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. ეს, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა ნ. გაფრინდაშვილის დამსახურებაა. ახლა ჩანს, რომ მემორიალის მონაწილენი მეტი გულისყურით აკვირდებიან მსოფლიო ჩემპიონის შემოქმედებას.

როგორც კი შმიდტმა ინგლისური დასაწყისი გაითამაშა, მივხვდი, რომ იგი კარგად გასცნობია მსოფლიო პირველობაზე 1969 წლის მატჩში ნონას პარტიებს. იქნებ ამ პარტიებში მან ხარვეზიც იპოვა, მაგრამ ახლა ნონასთან ბრძოლაში უპირატესობა მაინც ვერ მიიღო.

— ეს იმიტომ, რომ ვერ ისარგებლა ჩემი ერთი უზუსტო სვლით, — აგვიხსნა ნონამ. — მაგრამ, მე რომ სწორად მეთამაშა, საეჭვოო პარტია გამომივიდოდა. მერე ორივე კარგად ვთამაშობდით. ყაიმი სავსებით კანონზომიერი შედეგია.

მოჭადრაკემ თეორიაში ყველა სიახლე უნდა იცოდეს. ამას ჭეშმარიტებად მიიჩნევს ინგლისელი მწიგნობარი კინი. ეს თვალნათლივ გამოჩნდა მის შეხვედრაში ხოლმოვთან.

დიდოსტატმა ახალინდური დაცვა ისე გაითამაშა, როგორც ა. კარპოვმა ვ. კორჩნოისთან ამასწინანდელი მატჩის ერთ-ერთ პარტიაში, ოღონდ კრიტიკულ პოზიციაში გააუმჯობესა იგი. კინი გაერკვა სიტუაციაში. მას გაუანალიზებია ეს პოზიცია და სწორი გაგრძელება მონახა. თანაბარ მდგომარეობაში მეტოქენი დაზავდნენ სვლების გამეორებით.

ასევე მოიქცნენ გურგენიძე და გიორგაძე, ოღონდ მათ ორი სვლით მეტი გააკეთეს (26 სვლა). ამ შეხვედრაში გურგენიძემ სიცილიური დაცვის წინააღმდეგ საკუთარი სისტემა გამოიყენა და პერსპექტიული მდგომარეობა მიიღო.

— უპირატესობა როგორღაც თვალსა და ხელს შუა გამიქრა, თუმცა შეცდომა არ დამიშვია. თამაში ზუსტად იცავდა თავს, — თქვა დიდოსტატმა.

საუცხოოდ იბრძოდა საქართველოს ჩემპიონი უბილავა. შნაპიკმა შეძლო მისი ეტლის შეტყუება მეფის ფრთაზე და თამაშიდან გამოთიშვა. უბილავა იმის ფიქრში იყო, როგორ გამოეყენებინა გარიყული ეტლის პოტენციური ძალა. ცენტრში თამაშის გახსნის მერე შნაპიკის ფიგურებმა კოორდინაცია დაკარგეს. [illegible] ეს ტაქტიკური ოპერაციით გამოიყენა [illegible] და პაიკი [illegible] უტია. ამ ფიგურის უკან დახევის შემთხვევაში უბილავა დევნილი ეტლით დიდ მატერიალურ უპირატესობას მიაღწევდა. ამიტომ შნაპიკმა მხედრის დათმობა ამჯობინა, მაგრამ პარტია ვეღარ გადაარჩინა.

გუფელდი ინიციატივას ფლობდა, მაგრამ აუღელვებელი ბაგიროვი ზუსტად იგერიებდა მუქარას. 29-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ.

— მეყოფა ყაიმები, მოგებაზე ვთამაშობ, — გვითხრა ტუზოვსკიმ. მართლაც, მან თამამად შეუტია ბოხოსიანს და ენდშპილშიც მცირე უპირატესობა შეინარჩუნა, მაგრამ მოგებამდე ჯერ კიდევ შორსაა.

თ. ნინოშვილი.

• • •



სურათზე: ნ. გაფრინდაშვილისა და ვ. შმიდტის შეხვედრა.
მ. ზარგარიანის ფოტო.

ჭადრაკი

# 2. შეხვედრები მოსკოვში

## ნონას ჰოლანდიაში იწვევენ

[illegible] ქალაქი [illegible] კარგადაა ცნობილი ჭადრაკის სამყაროში. ათეული წლებია ამ ქალაქის მესვეურნი ქალთა და ვაჟთა საახალწლო საჭადრაკო ფესტივალებს აწყობენ. ამ შეჯიბრებებში მუდამ მონაწილეობენ საბჭოთა მოჭადრაკეები. მსოფლიო ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილს აქ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირშიც უთამაშია.

— ამჯერად ჰოლანდიელები ნონას ქალთა ტურნირში საასპარეზოდ იწვევენ, — მითხრა სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, საერთაშორისო ოსტატმა ა. კონსტანტინოპოლსკიმ. — ჰოლანდიაში ქალთა ტურნირში ნონამ 1963 წელს ითამაშა. მაშინ ცხრავე მეტოქე დაამარცხა. ამ წარმატების შემდეგ მას ვაჟთა ტურნირების კარიც გაუღეს. ქალთა წლევანდელი ტურნირი, თუ მონაწილეთა შემადგენლობას დავუკვირდებით, თითქმის ევროპის პირველობაა.

მოსკოვში ყოფნისას ფიდე-ს პრეზიდენტმა, პროფესორმა მ. ეივემ სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციას ვეკან-ზეეს ქალთა საერთაშორისო ტურნირის შემადგენლობა გააცნო: ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გეორგიევა (ბულგარეთი), მ. ივანკა, ჟ. ვერეცი (ორივე — უნგრეთი), ა. პიხაილიჩი (იუგოსლავია), მ. ტეოდორესკუ (რუმინეთი), ბუხმიულერი (გფრ), ა. ვან დერ გისენი, ე. ბელე, ჟ. ვრეკენი, ვან დერ მეცენი (ყველა — ჰოლანდია). მეთორმეტე მონაწილე ისრაელიდან იქნება, ოღონდ მისი გვარი ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

შემადგენლობა მართლაც ძლიერია. ამიტომ მსოფლიო ჩემპიონს დიდი ბრძოლა მოუწევს.

ტურნირი 18 იანვარს გაიხსნება და 1 თებერვლამდე გასტანს.

— ჩემს მაგიერ სთხოვეთ ნონას ცოტა ადრე ჩამოვიდეს მოსკოვში, ვისაუბრებთ, მეტოქეთა შემოქმედებას თვალს გადავავლებთ, — დამაბარა კონსტანტინოპოლსკიმ.

## 23 დეკემბერს მოსკოვში...

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი ნ. ალექსანდრიასა და ი. ლევიტინას შორის 23 დეკემბერს დაიწყება.

— საახალწლოდ მოსკოვში თითქმის შეუძლებელია ხეირიანი, ამ მატჩის შესაფერი თავისუფალი დარბაზის მონახვა, — გვითხრა კონსტანტინოპოლსკიმ. — ამიტომ მატჩის სტარტი ერთი კვირით გადავწიეთ.

სწორედ ამ გარემოებამ მისცა ალექსანდრიას მწვრთნელს დიდოსტატ ბ. გურგენიძეს ვ. გოგლიძის III მემორიალში მონაწილეობის საშუალება.

გავეცანი ალექსანდრია — ლევიტინას მატჩის პირობებს. მეტოქეები 12 პარტიას ითამაშებენ. გამარჯვებულად გამოცხადდება ის მოჭადრაკე, რომელიც მეტოქეზე ადრე დააგროვებს 6,5 ქულას. ყაიმის (6:6) შემთხვევაში მეტოქენი ბრძოლას პირველ მოგებამდე განაგრძობენ.

კვირაში სამი პარტია გათამაშდება. პარტიები შედგება ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით. მეორე დღეს მოეწყობა შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად. კვირა დასვენების დღეა. თითოეულ მონაწილეს სამი „ტაიმ-აუტის" აღება შეუძლია.

მატჩის მთავარი მსაჯია საერთაშორისო არბიტრი, ოსტატი ვ. ტიხომიროვი (მოსკოვი). მისი თანაშემწეა მოსკოველი საკავშირო კატეგორიის მსაჯი ი. კაზოლევსკი.

ალექსანდრიას სეკუნდანტი იქნება ბ. გურგენიძე, ლევიტინასი — ლენინგრადელი ოსტატი პ. კონდრატიევი.

— მატჩს უხელმძღვანელებს საგანგებოდ შექმნილი საორგანიზაციო კომიტეტი დიდოსტატ იური ავერბახის თავმჯდომარეობით. საჭიროა, რომ ამ კომიტეტში საქართველოს წარმომადგენელიც იყოს, — გვითხრა კონსტანტინოპოლსკიმ.

## ცხარე კამათში

სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში ორ დღეს გასტანა ქვეყნის ჭადრაკის ფედერაციის პლენუმის მუშაობამ. დიდი ინტერესი გამოიწვია ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარის, დიდოსტატ ი. ავერბახის საანგარიშო მოხსენებამ 1972 წლის მარტიდან 1974 წლის ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში საბჭოთა მოჭადრაკეებმა 125 პირად და გუნდურ საერთაშორისო ტურნირში მიიღეს მონაწილეობა. აქედან 88 შეჯიბრებაში მათ 1 ადგილი დაიკავეს. სსრ კავშირის ვაჟთა, ქალთა და სტუდენტთა გუნდებმა გაიმარჯვეს მსოფლიო ოლიმპიადებში. საბჭოთა მოჭადრაკეები ქალთა შორის მსოფლიო პირველობას არ თმობენ, ჩემპიონი და პრეტენდენტებიც საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები არიან, ვაჟთა შორის პირველობის პრეტენდენტიც საბჭოთა დიდოსტატი გახდა.

ი. ავერბახმა თქვა, რომ ამჟამად სსრ კავშირში ცხოვრობს 45 დიდოსტატი, 631 სპორტის ოსტატი, 25 ათასი ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი. მათ შორის 25 წლამდე ასაკის სამი დიდოსტატი და 60 სპორტის ოსტატია.

მომხსენებელმა განსაკუთრებით აღნიშნა ახალი კლუბების აგება თბილისში, კიროვაბადში, ტოლიატიში, ბრიანსკში, ვორონეჟში და სხვაგან. ითქვა ისიც, რომ ამჟამად საბჭოთა ქვეყანაში 8 პერიოდული საჭადრაკო გამოცემაა. ყველა თითქმის 300 ათასი ცალი გამოდის, მაგრამ მაინც ვერ აკმაყოფილებს ჭადრაკის მოყვარულთა მოთხოვნას. ასეა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ცენტრალურ და რესპუბლიკურ გაზეთში გახსნილია ჭადრაკის განყოფილებები.

დიდი ყურადღება დაეთმო ბავშვთა შორის, აგრეთვე, სპორტსაზოგადოებებსა და ფიზკულტურულ კოლექტივებში მუშაობის მდგომარეობას.

პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დიდი ქებით მოიხსენია საქართველოს საჭადრაკო ორგანიზაციის საქმიანობა, განსაკუთრებით კი მისი დამსახურება მოჭადრაკე ქალთა აღზრდაში. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენ ბევრს გვავალებს.

პლენუმის მუშაობა სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადების შუქზე მიმდინარეობდა. როგორც იცით, ჭადრაკი კვლავ შეიტანეს სპარტაკიადის პროგრამაში, რამაც საჭადრაკო მუშაობა ყველგან გამოაცოცხლა.

რა თქმა უნდა, ლაპარაკი იყო ფედერაციის მუშაობაში შემჩნეულ ნაკლოვანებებზეც.

— სპასკიმ ფიშერთან მატჩი იმიტომ წააგო, რომ მოუმზადებელი იყო ესოდენ საპასუხისმგებლო შეხვედრისთვის. პრეზიდიუმიც ნაკლებად აკონტროლებდა მზადების მსვლელობას, — თქვა ი. ავერბახმა. — ამ მატჩმა გამოავლინა ისიც, რომ ჭადრაკის თეორიის დაუფლების, სპორტული და ფსიქოლოგიური მზადების პროცესი მეცნიერული შესწავლის თვალსაზრისით დაბალ დონეზე იდგა. საჭიროა ყოველივე ამის გათვალისწინება ფიშერ — კარპოვის მატჩისთვის.

კამათის მონაწილე დელეგატებმა თავიანთი რესპუბლიკებისა თუ ქალაქების საჭადრაკო ორგანიზაციების მუშაობის ავ-კარგზე ილაპარაკეს.

დასასრულს პლენუმმა აირჩია ფედერაციის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა. თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია ი. ავერბახი.

## ავერბახის გაოცება

ჟურნალ „შახმატი ვ სსსრ"-ის მთავარი რედაქტორი ი. ავერბახი დიდად განათლებული მოჭადრაკე და ჟურნალისტია. ძნელად, რომ მას რამე გაუკვირდეს. და მაინც, მან რედაქციაში მიმიწვია და მითხრა:

— ჯერ გაოცებული დავრჩი, როცა 13 წლის მაია ჩიბურდანიძემ საერთაშორისო ოსტატის წოდება მოიპოვა. ახლა მისი ტოლების ნანა იოსელიანის, ნინო გურიელის, დები გეგიძეების, დები მელაშვილების, თამარ ებანოიძისა და სხვების სახელები მესმის. მჯერა, რომ გოგონები მოხიბლული არიან ნონას და ნანას უდიდესი, საამაყო წარმატებებით და ცდილობენ მათს გზას გაჰყვნენ. განა მსოფლიო ჩემპიონსა და პრეტენდენტს, მაგალითად, მოსკოვში არა ჰყავთ მიმდევარნი, მაგრამ ისინი ძლიერად მაინც ვერ თამაშობენ. რა განაპირობებს თქვენი გოგონების ესოდენ დიდ წარმატებებს?

არ დავმალავ: ძალიან მესიამოვნა, რომ ჩვენმა გოგონებმა ასე დააინტერესეს სწავლული დიდოსტატი. სხვათა შორის, ეს გაოცება პლენუმის დელეგატებმაც გამოთქვეს.

რა თქმა უნდა, რამდენადაც შემეძლო ავუხსენი ავერბახს ჩვენი გოგონების წარმატებათა წინაპირობები. ბუნებრივი ნიჭი, შრომისმოყვარეობა, გამარჯვებისაკენ ლტოლვა, მწვრთნელების თავდადებული შრომა და ბევრი სხვა რამ.

— ქართველი გოგონების წარმატებათა ამბავი უცხოეთშიც ბევრს აინტერესებს, ამიტომ კარგი იქნება თუ დაგვიწერთ ჟურნალისთვის მათს შესახებ, — მითხრა მასპინძელმა.

## თავადაც ასე სურდა...

— ვიზრან, თბილისში ვიქტორ გოგლიძის მემორიალში სათამაშოდ გიწვევთ. ნუთუ არ მოგენატრა ბავშვობის ქალაქი? — შეხვედრისთანავე ვუთხარი პეტროსიანს.

გამიცინა. მხრები აიჩეჩა.

— ოფიციალური მოწვევა მივიღე. უთხარი ბატურინსკის, გამოუშვას. არ სჯერა, რომ უმაღლესი ლიგის ტურნირში გამოსვლა არ შემიძლია. დაღლილი ვარ მანილის შემდეგ, თავს უქეიფოდ ვგრძნობ... თბილისში მაინც ვითამაშებდი.

ვ. ბატურინსკი, სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის დირექტორი და საკავშირო სპორტკომიტეტის ჭადრაკის განყოფილების უფროსი, სამართლიანად მოითხოვს, რომ ყველა დიდოსტატმა უმაღლეს ლიგაში ითამაშოს. მან დაიჯერა პეტროსიანის ავადმყოფობა და არც თბილისში გამოუშვა.

ამას წინათ პეტროსიანი ფილიპინების პრეზიდენტის მიწვევით მანილის დიდ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა, სადაც 11 ადგილი დაიკავა.

— მონაწილეებისთვის ზღაპრული პრიზები იყო დაწესებული. ფიქრობდნენ, ფიშერიც ითამაშებსო, მაგრამ მან კვლავ შეიკავა თავი. როგორც ჩანს, მსოფლიო პირველობისთვის ემზადება, — თქვა დიდოსტატმა.

მერე პეტროსიანმა მიამბო, რომ ტურნირში ბრძოლა დაძაბული იყო. აქო მოსკოველი დიდოსტატი ე. ვასიუკოვი, რომელმაც პირველი პრიზი დაიმსახურა.

— ფილიპინები ღარიბი ქვეყანაა, მაგრამ ჭადრაკს მაინც უდიდეს ყურადღებას აქცევს. იგი ერთადერთი სახელმწიფოა აზიაში, რომელსაც საკუთარი დიდოსტატი ჰყავს. ეს წოდება 21 წლის ეუგენიო ტორემ მოიპოვა. ქვეყანა პატარა კუნძულებზეა გაშლაგებული. ტურნირის მერე სხვადასხვა ქალაქში მიგვიწვიეს ერთდროული თამაშის სეანსების ჩასატარებლად. სეანსებზე მთავრობის დაჯავშნული მანქანით და პოლიციელ მოტოციკლისტთა ესკორტის თანხლებით მივემგზავრებოდით. ეს იმიტომ, რომ ქვეყნის ცალკეულ ტომებს შორის მტრობაა და შიშობდნენ სხვებში არავის ავრეოდით. ჩვენი იქ ყოფნის დროს მოხდა მიწისძვრა, ტაიფუნი, გავრცელდა ქოლერა, მაგრამ ვერც ერთმა ვერაფერი დაგვაკლო.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი იმდენად მიმზიდველად საუბრობდა, რომ გავიფიქრე: ზოგჯერ „64"-ში მოჭადრაკეები მსგავს საინტერესო ამბებსაც უნდა წერდნენ, ვინაიდან სატურნირო ბრძოლაში გარემოსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

თ. გიორგაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
მოსკოვი — თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




## საბჭოთა გუნდები უცხოეთში

ამერიკის შეერთებულ შტატებში ტურნეს განაგრძობს ერევნის „არარატი". ერევნელები ლოს-ანჯელესში შეხვდნენ მექსიკის გუნდს „ჰალისკოს" და დაამარცხეს იგი ანგარიშით 2:1. ბურთები გაიტანეს ზანაზანიანმა და იშტოიანმა.

დუბლინში მოსკოვის ტორპედოელები ეთამაშნენ ირლანდიის კლუბების ნაკრებს. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

## შესარჩევი მატჩი

თურქეთის ნაკრებმა 1 დეკემბერს იზმირში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ჩაატარა შვეიცარიის გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1.

## საზღვარგარეთ

## ზარაფხანის შეცდომა

კანადის ზარაფხანა ცდილობს ბრუნვიდან ამოიღოს ნაწილი 10-დოლარიანი მონეტებისა, რომლებიც მონრეალის მომავალ ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით მოჭრეს. საქმე ის გახლდათ, რომ 1973 წელს გამოშვებულ ამ სერიაში შეცდომა გაიპარა: ერთ ნაწილს თარიღად 1974 წელი უზის.

ზარაფხანის წარმომადგენელმა პ. დეგრააფმა განაცხადა, რომ მისი უწყება მზად არის ყოველ ათდოლარიანში ხუთჯერ მეტი გადაიხადოს. მაგრამ ხაზინის მუშაკებთან ერთად დეფექტური მონეტების დევნაში ჩაებნენ ნუმიზმატებიც, რომელთაც გაცილებით მეტი შანსი აქვთ: „შეცდომით" გამოშვებული მონეტები „შავ ბაზარზე" 50 დოლარზე ბევრად ძვირი ღირს.

(საკდეს).

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

### I ჯგუფი

● „ეგრისი" (ცხაკაია) — „ივერია" (ხაშური) 3:2. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

სტუმრებმა საგრძნობი უპირატესობით დაიწყეს მატჩი და მე-15 წუთზე გახსნეს კიდეც ანგარიში (ბანცაძე). ამის შემდეგ იგივე ბანცაძე და კიკაძე მეკარის პირისპირ აღმოჩნდნენ, მაგრამ ვერ შეძლეს უკიდურესად ხელსაყრელ მდგომარეობათა გამოყენება. შემდგომში „ეგრისმა" გამოასწორა თამაში და ხოფერიამ 11-მეტრიანი დარტყმით გაქვითა გოლი — 1:1. მე-80 წუთისთვის ხოფერიამ და ქირიამ 3:1-მდე აიყვანეს ანგარიში და სტუმრებმა ისღა შეძლეს, რომ შეამცირეს სხვაობა (ლომიძე).

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 11:1. მსაჯი მ. დუბროვინი (თბილისი).

სპარტაკელებს ფაქტიურად დატოვებული აქვთ I ჯგუფი და „გალის მოხდის მიზნით ამთავრებენ გათამაშებას. ზესტაფონში ისინი უმეკაროდ ჩამოვიდნენ და ამიტომ დიდი ანგარიშით დამარცხდნენ. ამ მატჩში 9 ბურთი გაიტანა გლინიანოვმა.

● „შუქურა" (ქობულეთი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 0:0. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).

მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში არ გახსნილა, მატჩი მიმდინარეობდა საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში.

● „დინამო" (სოხუმი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 1:0. მსაჯი მ. ლოსაბერიძე (ქუთაისი).

ერთადერთი გოლი სტუმრების კარში გაიტანა ცანავამ.

● „ვარძია" (ასპინძა) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 2:2. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

შეხვედრის მსვლელობაში მასპინძლები ორჯერ იყვნენ წინ და „მაღაროელმა" ორივეჯერ შეძლო თანაფარდობის აღდგენა.

● „მეშახტე" (ტყიბული) — „განთიადი" (თბილისი) 0:0. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).

● „ამირანი" (ოჩამჩირე) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:2. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).

ოჩამჩირელთა მხრივ ბურთები გაიტანეს ჭითანავამ და დარასელიამ, ხოლო სტუდენტთაგან — გუგუბერიძემ და კორაშვილმა.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 35 | 21 | 10 | 4 | 62—23 | 52 |
| „მაღაროელი" | 36 | 22 | 6 | 8 | 66—24 | 50 |
| „ეგრისი" | 36 | 19 | 8 | 9 | 63—38 | 46 |
| „დინამო" | 35 | 18 | 9 | 8 | 66—36 | 45 |
| „სალხინო" | 36 | 16 | 13 | 7 | 52—32 | 45 |
| ასკ (თბ.) | 37 | 17 | 10 | 10 | 74—50 | 44 |
| „ლოკომოტ." | 36 | 16 | 11 | 9 | 61—43 | 43 |
| „შუქურა" | 38 | 16 | 11 | 11 | 57—40 | 43 |
| ფიზკ. ინსტ. | 36 | 17 | 8 | 11 | 68—57 | 42 |
| „მეტალურგი" (ზესტაფ.) | 37 | 13 | 13 | 11 | 61—47 | 39 |
| „ამირანი" | 36 | 14 | 9 | 13 | 51—47 | 37 |
| „მეშახტე" | 37 | 13 | 9 | 15 | 46—60 | 35 |
| „კახეთი" | 36 | 13 | 8 | 15 | 48—56 | 34 |
| „ქართლი" | 36 | 13 | 6 | 17 | 61—66 | 32 |
| „კოლხეთი" | 38 | 10 | 10 | 18 | 46—66 | 30 |
| „ივერია" | 37 | 11 | 6 | 20 | 37—65 | 28 |
| „ვარძია" | 36 | 11 | 5 | 20 | 39—59 | 27 |
| „განთიადი" | 37 | 7 | 10 | 20 | 41—65 | 24 |
| „სულორი" | 38 | 6 | 7 | 25 | 33—88 | 19 |
| „სპარტაკი" | 37 | 5 | 5 | 27 | 38—108 | 15 |

### ზონალური გათამაშება.

„თრიალეთი" (წალკა) — „ქიმიკოსი" (ახმეტა) 0:1.

## სტუდენტთა თასი

დაიწყო უმაღლესი სასწავლებლების რესპუბლიკური თასის გათამაშება.

ცხინვალში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი პედაგოგიური ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს თბილისელებმა.

ბათუმის პედინსტიტუტის კოლექტივმა შინ დიდი ანგარიშით დაამარცხა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი — 8:0.

საქართველოს პოლიტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების ფეხბურთელთა შეხვედრაში უპირატესობა მომავალი აგრონომების მხარეს იყო — 3:1. ფრედ — 2:2 ითამაშეს საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო და ფიზკულტურის ინსტიტუტების კოლექტივებმა, სოხუმში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი პედაგოგიური და სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტების გუნდები. ანგარიშით 8:3 გაიმარჯვეს პედინსტიტუტის წარმომადგენლებმა.

## იერიშები ჰიმალაის მთებში

კატმანდუ. ჰიმალაის მთებში მთამსვლელობის სეზონი დასასრულს უახლოვდება და სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენები ჩქარობენ ასვლების დამთავრებას. პოლონეთის ექსპედიცია უტევს მსოფლიოში სიმაღლით მეოთხე მწვერვალს — ლხოტცეს (8500 მ) ჯომოლუნგმიდან აღმოსავლეთით. ექსპედიციის ხელმძღვანელმა ა. ზავადამ, რომელსაც რადიოკავშირი აქვს დამყარებული „დიდ მიწასთან", გადმოსცა ცნობა, რომ ასვლა გაძნელდა. ქარბუქი მთამსვლელებს ნაბიჯის გადადგმის საშუალებას არ აძლევს.

სანამ პოლონეთის ექსპედიცია ლხოტცეს მწვერვალისკენ მიიწევს, ნეპალის საგარეო საქმეთა სამინისტრომ იაპონიის ექსპედიციას ნება დართო ავიდეს დჰაულაგირის მასივის ერთ-ერთ პიკზე. 1975 წლის გაზაფხულზე იაპონიის მთამსვლელთა ფედერაცია მეხუთედ ეცდება დჰაულაგირის დაპყრობას ნეპალის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

ამ მწვერვალს მთამსვლელები „მკვლელს" ეძახიან. იაპონელთა გარდა, მასზე უნაყოფოდ მიიტანეს იერიში ინგლისელებმა. დჰაულაგირი-4 ცნობილია მსხვერპლის სიმრავლით.

● ●

## უხუცესი მთამსვლელები

წლეულს იაპონიის უმაღლეს წერტილზე — ფუძის მთაზე (3700 მ) ავიდა 70 წელს გადაცილებული 388 მთამსვლელი. მათ შორის ყველაზე უფროსია ტოკიოს მცხოვრები ტ. ვატანაბე. იგი 91 წლისაა.

საქესი-ჯიჯი პრესი

## მოსწავლეთა შეჯიბრება

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ჭიათურაში ატარებს მოსწავლეთა საშემოდგომო გათამაშებას ფეხბურთში, სადაც მონაწილეობენ აფხაზეთის, აჭარის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ტყიბულისა და ჭიათურის გუნდები.

პირველი დღის შეხვედრათა შედეგები ასეთია: ჭიათურა — ტყიბული 2:0, თბილისი — აფხაზეთი 5:1, გორი — რუსთავი 4:1, აჭარა — ქუთაისი 1:1.

შეჯიბრება საუკეთესოდაა ორგანიზებული, სტუმრებს მიმაგრებული ჰყავთ შეფები.

შ. ტატიშვილი.

ჭიათურა.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები



## ✓ ვარჯიში, წვრთნა, ვარჯიში...

ფეხბურთის ერთ-ერთი დაუწერელი კანონი ასეთია: თავდამსხმელის შეცდომა შეიძლება ნახევარმცველმა გამოასწოროს, ნახევარმცველისა — მცველმა, მცველისა—მეკარემ. მაგრამ ამ უკანასკნელს შეცდომის დაშვების უფლება არა აქვს, ვინაიდან ამ შეცდომას ველარავინ გამოასწორებს: მეკარის უკან ხომ აღარავინ დგას. ამიტომ იგი, მინდვრის ფეხბურთელისთვის საჭირო თითქმის ყველა თვისების გარდა, უამრავ „წმინდა სამეკარო" თვისებასაც უნდა ფლობდეს. ყოველივე ამის მიღწევა კი, როგორც ცნობილია, მხოლოდ თავგამოდებული ვარჯიშით შეიძლება.

ლოძის ლკს-ს კარის ერთგულმა დარაჯმა, პოლონეთის ნაკრების მეკარემ იან ტომაშევსკიმ სწორედ დაუღალავი, მრავალწლიანი ვარჯიშის შედეგად მიაღწია იმას, რომ X მსოფლიო ჩემპიონატში ერთ-ერთ საუკეთესოდ აღიარეს. ამას ორი ზედა ფოტოც მოწმობს. მარცხნივ — ტომაშევსკი ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელის კაზიმეჟ გურსკის მეთვალყურეობის ქვეშ სწორედ ერთ-ერთ „წმინდა სამეკარო" ვარჯიშს ასრულებს, მარჯვენა სურათზე კი კარში დარტყმულ ბურთს იგერიებს. ქვევით იგი თამაშის დროს არის გადაღებული.

ც. ვარმინსკისა და ცაფ-ის ფოტოები.





რედაქტორი მ. კაკაბაძე.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და ჭადრაკის განყოფილებები — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.